



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



სამოქალაქო კულტურის
საერთაშორისო ცენტრი



როგორ დავაკვირდეთ არჩევნებს

დამხმარე სახელმძღვანელო
დამკვირვებელთათვის

2010

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი

როგორ დავაკვირდეთ არჩევნებს

დამხმარე სახელმძღვანელო
დამკვირვებელთათვის

თბილისი
2010

2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ღიად, სამართლიანად და თავისუფლად ჩატარების ხელშეწყობის მიზნით სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრმა განახორციელა პროექტი “საარჩევნო საკითხებში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება”.

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას, საარჩევნო კულტურის ამაღლებას და არჩევნების იდეის პოპულარიზაციას. ამავე პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა წინამდებარე სახელმძღვანელოს გამოცემა, რომელიც განკუთვნილია, როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მას-მედიის წარმომადგენელთათვის (რომლებიც აპირებენ არჩევნების პროცესზე დაკვირვებას), ასევე პოლიტიკური პარტიებისა დამკვირვებლებისათვის.

სახელმძღვანელო მოამზადეს:

კონსტანტინე კანდელაკმა
ნინო მთვარელიშვილმა

©სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, 2010

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
თბილისი, ბაქოს ქ.20ა
ტელ: 94 02 96
ელ.ფოსტა: office@iccc.org.ge
www.iccc.org.ge
www.ivote.ge

წინამდებარე სახელმძღვანელოს გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **USAID** – ის მხარდაჭერით.

სახელმძღვანელოში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და შეიძლება არ გამოხატავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



საარჩევნო პროცესის დაკვირვების მიზნები

საარჩევნო პროცესზე დაკვირვების განხორციელება პირდაპირ უწყობს ხელს ადამიანის უფლებათა დაცვას. დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის აუცილებელია თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნები. პოლიტიკური მონაწილეობის უფლება მნიშვნელოვანი უფლებაა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ადამიანის ძირითად უფლებებს, როგორცაა გამოხატვის, გადაადგილების, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებები. ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს დარღვევების აღმოფხვრას, ნდობისა და მხარდაჭერის გაზრდას არჩევნების, როგორც ღია და სამართლიანი პროცესის მიმართ. ეს ყოველივე, ხელს შეუწყობს და გაზრდის საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობას საარჩევნო პროცესში.

აუცილებელია ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა მკაცრად დაიცვას მიუკერძოებლობის პრინციპი. ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა, როგორც ერთიანმა ორგანიზაციამ და ასევე მისმა ცალკეულმა დამკვირვებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ კომპრომისი ამ საკითხთან დაკავშირებით დაუშვებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზაცია და მის მიერ გამოქვეყნებული დასკვნები და ანგარიშები დაკარგავს ნდობას.

დამკვირვებელი

დამკვირვებელი ერთ კონკრეტულ საარჩევნო უბანში იმყოფება მთელი საარჩევნო პროცესის განმავლობაში, საარჩევნო უბნის გახსნიდან (დილის შვიდი საათი) საბოლოო შედეგების ოქმის გაფორმებამდე და თვალყურს ადევნებს, კანონის შესაბამისად სრულდება თუ არა ხმის მიცემისა და შედეგების შეჯამების პროცედურა, აფიქსირებს და საჭიროების შემთხვევაში ასაჩივრებს ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცესში მომხდარ კანონის დარღვევებს.

დამკვირვებლის მოვალეობები მისგან მოითხოვს ტაქტს, სიტუაციის საღ განსჯას, წინდახედულებას, კომპეტენტურობას. მხოლოდ ასეთი თვისებით აღჭურვილ პირებს შეუძლიათ თავიანთი მოვალეობების სრულფასოვანი შესრულება.

დამკვირვებელი მონაწილე იმ მოვლენებისა, რომელიც საარჩევნო უბანში ხდება დღის განმავლობაში. დამკვირვებლის ამოცანაა, ამომრჩევლებმა შეძლონ თავიანთი უფლებების სრული გამოყენება და ამასთან დაიცვან კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

დამკვირვებლის მოვალეობები

- დამკვირვებელი საარჩევნო უბანში უნდა გამოცხადდეს დღის შვიდ საათზე და არ უნდა დატოვოს უბანი შედეგების შეჯამების ოქმის ასლის მიღებამდე.

- კარგად უნდა იცოდეს საარჩევნო კანონმდებლობა.
- იყოს ობიექტური.
- ხმის მიცემის და შედეგების შეჯამების პროცესზე დაკვირვებისას უნდა იქცეოდეს როგორც პროფესიონალი, თავი უნდა შეიკავოს ყველანაირი ქმედებისაგან, რომელიც ხელს შეუშლის არჩევნების მსვლელობას.
- ფხიზლად უნდა ადევნოს თვალი საარჩევნო პროცესს და დაკვირვების ოქმში აღნიშნოს ყველა ქმედება, რომელიც არ შეესაბამება საარჩევნო კანონმდებლობას. აღნიშნოს დარღვევების დრო და ადგილი, აგრეთვე მიუთითოს მოწმეები.

დამკვირვებლის უფლებები

თქვენი უფლება მონაწილეობა მიიღოთ საარჩევნო პროცედურაში, როგორც დამკვირვებელმა, გარანტირებულია საქართველოს საარჩევნო კოდექსით.

დამკვირვებელს უფლება აქვს:

- დაესწროს და დააკვირდეს საარჩევნო კომისიის სხდომებს;
- კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერ ადგილიდან;
- კენჭისყრის დღის ნებისმიერ დროს შეენაცვლოს თავისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებულ წარმომადგენელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე და მათი გახსნის შემდეგ;
- დააკვირდეს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა რეგისტრაციას, საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გაცემასა და მათ დამოწმებას კენჭისყრის პროცესისთვის ხელშეშლელად;
- დაესწროს ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებს;
- დააკვირდეს გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის პროცესს;
- დააკვირდეს ამომრჩეველთა ხმების დათვლას ისეთ პირობებში, რაც უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენის დანახვას;
- დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის და სხვა დოკუმენტების შედგენას;
- განცხადებით (საჩივრით) მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლითაც კონკრეტული დარღვევის დაფიქ-

სირების შემთხვევაში მოითხოვს რეაგირებას;

- მოსთხოვოს ამომრჩეველს უჩვენოს რამდენი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს ხელში;
- ხელახლა მოითხოვოს მარკირების პროცედურის ჩატარება;
- გაასაჩივროს საუბნო საარჩევნო კომისიის ქმედება ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში;
- დააკვირდეს საარჩევნო ყუთს, საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტების ჩაყრას, საარჩევნო ყუთების გახსნას, საარჩევნო ბიულეტენების დათვლას და ოქმების შედგენას;
- გაეცნოს საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს და მიიღოს მათი ასლი.

დამკვირვებელს უფლება არა აქვს:

- ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებში და საქმიანობაში;
- ხელი მოაწეროს საკონტროლო ფურცელს;
- ამომრჩევლის მაგივრად ხელი მოაწეროს ამომრჩეველთა სიაში და მიიღოს ბიულეტენი;
- ამომრჩევლის თხოვნით შეავსოს ბიულეტენი ან შეყვეს ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში;
- გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე;
- აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;
- ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი;
- კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე;
- დაარღვიოს საარჩევნო კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები;

დამკვირვებლის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების მიერ საარჩევნო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს საარჩევნო, ადმინისტრაციული ან/და სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესით (იხ. დანართი 3).

დამკვირვებლის საქმიანობა არჩევნებამდე

- ◇ დაკვირვებით შეისწავლეთ საარჩევნო კანონმდებლობა.
- ◇ გაეცანით საარჩევნო კომისიას, ჩაინერეთ კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მონაცემები, საუბნო საარჩევნო კომისიის ტელეფონი.
- ◇ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დაათვალიერეთ საარჩევნო

უბანი. შეამონმეთ შეესაბამება თუ არა უბნის მონყოლა საარჩევნო კანონის მოთხოვნებს. მაგ. გამოკრულია თუ არა ამომრჩეველთა სიები და სხვა.

- ◇ გაიგეთ ზემდგომი საარჩევნო კომისიის მისამართი და ტელეფონი, აგრეთვე საოლქო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების ვინაობა.

არჩევნების დღე

სადამკვირვებლო საქმიანობის უზრუნველსაყოფად თან უნდა გქონდეთ:

- დამკვირვებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი;
- პირადობის მოწმობა (პასპორტი);
- დამკვირვებლის ოქმი;
- საარჩევნო კანონი (ინსტრუქციები) და დამკვირვებლის სახელმძღვანელო;
- აუცილებელი საკონტაქტო ტელეფონების, მისამართების და გვარების სია;
- სანერი ქალაქი (განცხადებებისა და საჩივრებისათვის), კალამი (ორი), საათი, ფოტოაპარატი (სასურველია), ფარანი, კალკულატორი, სანთელი და ასანთი, წამლები, საგზალი (გახსოვდეთ, რომ ეს დღე ძალიან გრძელი იქნება. თქვენ არც ერთი წუთით არ უნდა მიატოვოთ უბანი).

დამკვირვებლის საქმიანობა კენჭისყრის დღეს

- საარჩევნო უბანში უნდა გამოცხადდეთ საარჩევნო უბნის გახსნამდე ანუ დილის შვიდ საათზე, რათა დააკვირდეთ უბნის მომზადებას.
- წარუდგინეთ თქვენი თავი საუბნო საარჩევნო კომისიას. გაეცანით სხვა დამკვირვებლებს.

კენჭისყრის დაწყებამდე ანუ დილის შვიდი საათიდან დილის რვა საათამდე:

დაადგინეთ რამდენი კომისიის წევრი გამოცხადდა შვიდი საათისათვის უბანში. იმ შემთხვევაში თუ კომისიის წევრთა რაოდენობა შვიდზე ნაკლებია საარჩევნო უბნის გახსნის პროცედურები არ უნდა დაიწყოს. დაადგინეთ კომისიის წევრთა ვინაობა, ნამდვილად კომისიის წევრები არიან თუ არა.

- შეამონმეთ გამოკრულია თუ არა ამომრჩეველთა სიები და ხმის მიცემის ინსტრუქციები და ა.შ. შესაბამისი აღნიშვნები შეიტანეთ დამკვირვებლის ოქმში.
- გაიხსნა თუ არ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი, რომლის პირველ და მეორე გვერდზე ხელს აწერენ მისი გახსნისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი ანუ თქვენც.

- შეამონმა თუ არა კომისიის თავმჯდომარემ დამკვირვებლების თანდასწრებით იმ პაკეტის მთლიანობა რომელშიც მოთავსებულია კომისიის სპეციალური ბუქედი.
- წესისამებრ ჩატარდა თუ არა კომისიის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების წილისყრა.
- გამოაცხადა თუ არა საჯაროდ კომისიის თავმჯდომარემ და შეიტანა თუ არა კომისიის მდივანმა სადემონსტრაციო ოქმში, ჩანაწერთა წიგნში და შედეგების შემაჯამებელ ოქმში შემდეგი მონაცემები:
 - ✓ ამომრჩეველთა რაოდენობა ერთიან და სპეციალური სიების მიხედვით;
 - ✓ მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
- მოაწერეს ხელი თუ არა კომისიის თავმჯდომარემ და მდივანმა საარჩევნო ბიულეტენების თავფურცელზე ხელი.
- შეამონმეთ ამომრჩეველთა სარეგისტრაციო სია და დარწმუნდით, რომ სიაში არ არის წინასწარ გაკეთებული ხელმოწერები.
- კომისიის წევრებთან ერთად შეამონმეთ ყუთების სიცარიელე და დაესწარით ყუთების დალუქვას.

კენჭისყრის დაწყებიდან ანუ რვა საათიდან კენჭისყრის დამთავრებამდე თვალყური ადევნეთ:

- პირველი ამომრჩეველის მოსვლისას წესისამებრ შეივსო თუ არა საკონტროლო ფურცელი.
- თხოვეთ თუ არა ამომრჩეველებს პირადობის მონმობებს, ხომ არ აძლევენ ბიულეტენებს პირადობის მონმობის წარდგენის გარეშე, ხომ არ აძლევენ ერთ ამომრჩეველს რამდენიმე ბიულეტენს (მაგ. ოჯახის წევრების მაგივრად), ხომ არა აქვს ადგილი საარჩევნო უბანში აგიტაციას და სხვა.
- განსაკუთრებით დააკვირდით სათანადოთ ამონმებს თუ არა რეგისტრატორი პირადობის მონმობებს და შეძლებისგვარად შეამონმეთ ნამდვილად არის თუ არა ამომრჩეველი საარჩევნო სიაში.
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხმის მისაცემად მოსულთა რაოდენობის აღრიცხვა. დაითვალეთ ხმის მისაცემად მოსულთა რაოდენობა.
- ყველა დაფიქსირებული დარღვევა შეიტანეთ დაკვირვების ოქმში. დარღვევის გამოსასწორებლად მიმართეთ თავმჯდომარეს. შედეგი მიუთითეთ ოქმში. თუ თავმჯდომარემ შენიშვნა არ გაითვალისწინა და დარღვევა არ გამოსწორდა, შეადგინეთ საჩივარი.
- პირადობის მონმობების გარეშე ან ზედმეტი ბიულეტენების გაცემის შემთხვევაში აღნიშნეთ რომელ სარეგისტრაციო მაგიდასთან მოხდა ასეთი ფაქტი ან ფაქტები. მიუთითეთ დრო და რეგისტრატორის გვარი.

ხმების დათვლის პროცესში ყურადღება მიაქციეთ:

- წილისყრით გამოვლინდნენ თუ არა მთვლელები.
- ბიულეტენების გაბათილების მიზნით, ხომ არ ხდება ბიულეტენების გადაშლა, დახვევა, დაბინძურება და ა.შ.
- ხომ არ აქვს ადგილი წინასწარშევისებული ბიულეტენების შერევის ყუთიდან გადმოყრის ბიულეტენებში.
- ხომ არ ხდება ბიულეტენში გამოხატული სურვილის მიუხედავად ბიულეტენის მითვლა სხვა პარტიისა ან კანდიდატისათვის.
- ხომ არ ხდება შედეგების ოქმის არასწორი შევსება.
- ხდება თუ არა ხმების დათვლა კანონით დადგენილი თანმიმდევრობის დაცვით.
- კენჭისყრით წყდება თუ არა ბიულეტენის ნამდვილობის საკითხი.
- გამოაკრა თუ არა კომისიამ შედეგების შემაჯამებელი ოქმი თვალსაჩინო ადგილზე.
- ხმების დათვლაში ხომ არ მონაწილეობენ პირები, რომლებიც წილისყრით მთვლელებათ არ გამოვლენილან.
- კომისიის წევრებს წინასწარ ხომ არ აქვთ მონერული ხელი შედეგების შემაჯამებელ ოქმზე.
- კომისიის მდივანს შედეგები შედეგების შემაჯამებელი ოქმის ორიგინალში შეაქვს თუ არა.

საარჩევნო დღის პროცედურები

საარჩევნო უბანი:

საარჩევნო უბანში რეგისტრირებული უნდა იყოს არანაკლებ 20 და არაუმეტეს 1500 ამომრჩეველი.

საარჩევნო უბანში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უნდა იყოს:

- ინფორმაცია კომისიის შემადგენლობის შესახებ;
- ინფორმაცია კომისიის ადგილსამყოფელისა და სამუშაო საათების შესახებ;
- ზუსტი მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის / ფაქსის ნომრები (თუ აქვს);
- ინფორმაცია საარჩევნო უბნის საზღვრებისა და საარჩევნო უბანში შემავალი ყველა საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის მისამართის მითითებით;
- საარჩევნო ადმინისტრაციის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც შეეხება ამ კომისიის საქმიანობას;
- კომისიისა და კომისიის თავმჯდომარის განკარგულებები;
- ამომრჩეველთა სიები, ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანის და უზუსტობების გასაჩივრების წესი და ვადები;
- არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სია (პარტიული სიები, კანდიდატთა სიები);
- ხმის მიცემის ინსტრუქცია ანუ საარჩევნო ბიულეტენების შევსების წესი;
- ამონარიდი კანონიდან, თუ რა შემთხვევაშია ბიულეტენი ბათილი;
- განცხადება, თუ საარჩევნო ბიულეტენში შეყვანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში;
- კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმები (ერთი მაჟორიტარული და ერთი პროპორციული სისტემის არჩევნების შედეგებისთვის, თბილისში აგრეთვე მერის არჩევნებისთვის). სადემონსტრაციო ოქმი არის A2 ფორმატის ფურცელი, რომელშიც შეიტანება იგივე მონაცემები, რომლებიც საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში;

ამასთან, კენჭისყრამდე არა უგვიანეს ერთი დღისა საარჩევნო კომისიის წევრებმა უნდა მოაწიონ კენჭისყრის შენობა:

- ამომრჩეველთა სარეგისტრაციო მაგიდები (ერთი სარეგისტრაციო მაგიდა ყოველ 300 ამომრჩეველზე);

- ფარული კენჭისყრის კაბინები: ერთი კაბინა ყოველ 500 ამომრჩეველზე. კაბინის ერთი მხარე უნდა იყოს ღია მისი სიმაღლის ნახევრამდე, ხოლო ზედა ნახევარი ფარდით უნდა იყოს დაფარული. ფარული კენჭისყრის კაბინაში უნდა იყოს საწერი კალამი, მასში გამოკრული უნდა იყოს ხმის მიცემის ინსტრუქცია, განცხადება, თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში და ამონარიდი კანონიდან, თუ რა შემთხვევაშია ბიულეტენი ბათილი;
- სპეციალური კონვერტების მაგიდა (უნდა იდგეს საარჩევნო ყუთთან ახლოს);
- კენჭისყრის შენობაში გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი თვალსაჩინო ადგილზე უნდა იყოს მოთავსებული ისე, რომ ამომრჩეველი დაუბრკოლებლად მივიდეს მასთან და კონვერტის ჩაშვების შემდეგ დაუყოვნებლივ დატოვოს საარჩევნო უბანი.

გახსოვდეთ, რომ

- **კენჭისყრის წინა დღის 24 საათამდე, საარჩევნო უბნის შენობაში უნდა ჩამოიხსნას საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო პროგრამები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).**

ვის აქვს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება?

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ:

- დამკვირვებლებს;
- პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლებს;
- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს;
- საქართველოს ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს;
- საქართველოს ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებს

ამასთან, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს (კენჭისყრის შენობაში ყოფნისას) აუცილებლად უნდა ეკეთოს მისი ვინაობის დამადასტურებელი სამკერდე ნიშანი.

საარჩევნო უბნის გახსნა

საარჩევნო უბანი იხსნება კენჭისყრის დღის დილის 7 საათზე.

საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე პროცედურები ტარდება შემდეგი თანამიმდევრობით:

ა) საარჩევნო უბნის გახსნისთანავე იხსნება კენჭისყრის დღის ჩა-

ნაწერთა წიგნი. წიგნის პირველ და მე-2 გვერდებზე ხელს აწერს მისი გახსნისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი;

ბ) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამონმებს იმ დალოუ-ქული პაკეტის მთლიანობას, რომელშიც მოთავსებულია საუბნო საარჩევნო კომისიის სპეციალური ბეჭედი, და ხსნის მას;

გ) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ერთნაირ ფურცლებზე, ერთი და იმავე საწერი საშუალებით ამზადებს წილისყრის ფურცლებს, ამონმებს მათ კომისიის სპეციალური ბეჭდით და კეცავს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის წაკითხვა. ცარიელი და შევსებული ფურცლების საერთო რაოდენობა წილისყრის მონაწილე კომისიის წევრთა რაოდენობის ტოლი უნდა იყოს. წილისყრა ტარდება კომისიის თავმჯდომარის მიერ, კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით და მასში არ მონაწილეობენ კომისიის თავმჯდომარე/მოადგილე/კომისიის მდივანი. ფურცლები იყრება მაგიდაზე, რომლებსაც წილისყრის მონაწილე კომისიის წევრები სათითაოდ იღებენ;

დ) კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს

- პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრთაგან გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლებ კომისიის 2 წევრს (აუცილებლობის შემთხვევაში);
- კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი, რომელიც აგრეთვე ამონმებს ამომრჩეველთა მარკირებას;
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრები (სულ ცოტა ერთი წევრი ყოველი 300 ამომრჩევლისთვის), რომლებიც აგრეთვე გასცემენ საარჩევნო ბიულეტენებს, ბიულეტენის უკანა გვერდზე სათანადო ადგილას ხელის მოწერის და ბეჭდის დასმის შემდეგ;
- საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრი;

ვ) წილისყრის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე ჩაწერს წილისყრით დადგენილი ფუნქციის დროებით გადაცემა კომისიის სხვა წევრისთვის შეიძლება მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ნებართვით, რასაც კომისიის მდივანი აღნიშნავს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე დროის მითითებით.

წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

1) აცხადებს ამომრჩეველთა რაოდენობას ერთნაირი და სპეციალური სიების, აგრეთვე ამომრჩეველთა სიის დანართის (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის) მიხედვით;

2) ამონმებს საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების პაკეტების მთლიანობას და აცხადებს მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა და სპეციალურ კონვერტთა რაოდენობას;

3) ამონმებს და ცესკოს მიერ დადგენილი წესით - ინდივიდუალური ნომრის მქონე ლუქით ლუქავს ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებს.

4) ამომრჩეველთა ყოველ რეგისტრატორს გადასცემს ყველა სახის საარჩევნო ბიულეტენის თითო ბლოკნოტს, რაც დასტურდება მის თავფურცელზე კომისიის თავმჯდომარისა და რეგისტრატორის ხელმოწერებით. ბლოკნოტიდან ყველა ბიულეტენის გაცემის შემდეგ რეგისტრატორს გადაეცემა მეორე ბლოკნოტი და ა. შ..

5) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამომრჩეველთა თითოეულ რეგისტრატორს გადასცემს წილისყრით გამოვლენილი რეგისტრატორის ბეჭედს, რომლის ნომერიც შეიტანება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.

6) საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი აცხადებს ამომრჩეველთა რაოდენობას ერთიან და სპეციალურ სიებში, მიღებულ ბიულეტენთა რაოდენობას და მონაცემები შეაქვს კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმში, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში და შედეგების შემავამებელ ოქმში.

7) კენჭისყრის დაწყებამდე კომისიის თავმჯდომარე და მდივანი ავსებენ საკონტროლო ფურცლებს (გარდა პირველი ამომრჩევლის მონაცემებისა და ჩაგდების დროისა) სამ ეგზემპლარად. პირველი ამომრჩევლის მოსვლის შემდეგ საკონტროლო ფურცელში შეიტანება პირველი ამომრჩევლის გვარი, სახელი, რეგისტრაციის ადგილი და საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, საარჩევნო ყუთებში ჩაგდების ზუსტი დრო; ამის შემდეგ საკონტროლო ფურცლებს ხელს აწერენ პირველი ამომრჩეველი და საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი;

კომისიის თავმჯდომარე საკონტროლო ფურცლის ერთ ეგზემპლარს აგდებს ძირითად საარჩევნო ყუთში პირველი ამომრჩევლის მოსვლის შემდეგ, მეორე ეგზემპლარს - გადასატან საარჩევნო ყუთში, ხოლო მესამე ეგზემპლარს ინახავს საარჩევნო ყუთებში არსებულ საკონტროლო ფურცლებთან შემდგომი შედარების მიზნით.

კენჭისყრის პროცესი

კენჭისყრის დროს აკრძალულია კენჭისყრის შენობის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია არჩევნების საყოველთაოობის, თანასწორობისა და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა.

კენჭისყრა ტარდება კენჭისყრის დღეს 08:00 საათიდან 20:00 საათამდე.

კენჭისყრის ოთახში შესვლისას ამომრჩეველი გადის მარკირების შემონმების პროცედურას. მარკირების პროცედურა ყველა საარჩევნო უბანზე ხორციელდება.

კომისიის წევრი სპეციალური ხელსაწყო აპარატის მეშვეობით აშუქებს მარკირების ადგილს. თუ ამომრჩეველს მარკირება არ აღენიშნა ეძლევა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. ხოლო თუ გამოვლინდა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელმა კომისიის წევრმა კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველი უნდა შეუშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება.

კენჭისყრის ოთახში შესული ამომრჩეველი მიდის იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში შეტანილი მისი გვარის პირველი ასო და ამომრჩეველთა რეგისტრატორს წარუდგენს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს, იძულებით გადაადგილებული პირისათვის — ასევე დევნილის მოწმობას (პირადობის მოწმობასთან ერთად). ამომრჩეველთა რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიაში ამომრჩეველის ყოფნის დადასტურების შემთხვევაში ახორციელებს მის მარკირებას, რის შემდეგაც ამომრჩეველთა რეგისტრატორი აკეთებს ხელმოწერას ამომრჩეველთა ერთიანი სიის სათანადო გრაფაში, ხოლო შემდეგ ამომრჩეველი ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) მიღებას. საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) გაცემისას ამომრჩეველთა რეგისტრატორი ხელს აწერს მის (მათ) უკანა გვერდზე სათანადო გრაფაში და ბიულეტენს (ბიულეტენებს) ამონმებს სპეციალური ბეჭდით.

საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) დამონმების შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს ბიულეტენს (ბიულეტენებს) ამ კანონით დადგენილი წესით. საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) შევსების შემდეგ ამომრჩეველმა იგი (ისინი) ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს, ვინ მისცა ხმა.

დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენით (ბიულეტენებით) ამომრჩეველი მიდის განცალკევებით მდგარ მაგიდასთან, საიდანაც დამოუკიდებლად იღებს სპეციალურ კონვერტს და მასში ათავსებს ბიულეტენს (ბიულეტენებს). მხოლოდ ამომრჩეველია უფლებამოსილი, საარჩევნო ბიულეტენი

(ბიულეტენები) მოათავსოს სპეციალურ კონვერტში; საარჩევნო კომისიის წევრს არა აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი (ბიულეტენები) ან სხვაგვარად დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა.

დაუშვებელია საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა.

საარჩევნო ყუთთან მუდმივად უნდა იმყოფებოდეს საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრი. მას დახურული უნდა ჰქონდეს კონვერტის ჩასაგდება ჭრილი, რომელიც უნდა გახსნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ ილუქება საარჩევნო ყუთში კონვერტის ჩასაგდება ჭრილი.

საარჩევნო ბიულეტენების შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა: საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, დამკვირვებლისა.

თუ ამომრჩეველს ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური კონვერტი, მან ეს უნდა აცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ჩააბაროს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი /სპეციალური კონვერტი და მიიღოს ახალი. გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენს/სპეციალურ კონვერტს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე, დაენერება “გაფუჭებულია”, ხელს მოაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ცალკე შეინახება.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს უფლება აქვთ, ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლამდე და სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის (ბიულეტენების) ჩადებამდე მოსთხოვონ, უჩვენოს, რომ მას ხელთ აქვს მხოლოდ კანონით დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი. ამომრჩეველი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი კენჭისყრის დღეს ორჯერ, 12 საათსა და 17 საატზე, გადათვლის ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მო-

ნანილე ამომრჩეველთა ხელმონერების რაოდენობა და ეს რიცხვი, შესაბამისი დროის მინიშნებით შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემოსტრაციო ოქმსა, ჩანანერთა წიგნში და შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.

თუ კენჭისყრის დროს დაირღვა საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა, საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და განკარგულებით იღებს გადანყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე.

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემა

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 9 საათიდან და სრულდება 19 საათზე. გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანზე უნდა დაბრუნდეს არა უგვიანეს 20 საათისა.

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობის შემთხვევაში ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართავს კენჭისყრის დღემდე 2 დღით ადრე.

ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში აუცილებლათ უნდა იყოს აღნიშვნა, რომ ამომრჩეველი გადაყვანილია ამომრჩეველთა სიის დანართში (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში), რაც დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმონერებით.

კენჭისყრის დღის 9 საათიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ საარჩევნო კომისიის წევრებს გადასცემს ამომრჩეველთა სიის დანართს (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიას), სპეციალურ კონვერტებს და ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ ხელმონერითა და სპეციალური ბეჭდით დამონმებულ საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენებს.

ამომრჩეველთა ადგილსამყოფლის მიხედვით კენჭისყრის ჩატარებაში მონაწილეობენ წილისყრით გამოვლენილი საუბნო საარჩევნო კომისიის 2 წევრი და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები თავიანთი სურვილისამებრ.

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემისას ავტომანქანის გამოყენების შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია გამოყოს ადგილი ავტომანქანაში კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთაგან წილისყრით გამოვლენილი 2 მეთვალყურისათვის.

ამომრჩეველთა ადგილსამყოფლის მიხედვით კენჭისყრის ჩასატარებლად გამოიყენება ერთი გადასატანი გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ჩანანერთა წიგნში აღნიშნავს, რამდენი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი გადაეცა გა-

დასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ საარჩევნო კომისიის წევრებს. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო ყუთში არსებული და გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების რაოდენობა შეჯამდება შედარების მიზნით. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ დარჩენილ გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს ჩამოეჭრება კუთხე, დაენერება “გაფუჭებულია”, ხელს მოაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ცალკე შეინახება.

გახსოვდეთ:

- დაუშვებელია კენჭისყრის შენობაში შეიარაღებულ პირთა შესვლა;
- ხმის მიცემის ადგილზე შესვლა პოლიციის მუშაკებს შეუძლიათ მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით და იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად;
- საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისთანავე, კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის შენობას და მის მიმდებარე ტერიტორიას;
- კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად კენჭისყრის კაბინაში ფოტო- და ვიდეოგადაღება აკრძალულია.
- არა უგვიანეს 20.00 საათისა გადასატანი ყუთი დაბრუნებული უნდა იყოს უბანში;
- ზუსტად 20.00 საათზე საარჩევნო უბანი იკეტება; ამ დროისათვის მხოლოდ რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა.
- კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩასაგდები ქრილი ილუქება;

საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები:

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით წილისყრით კომისიის წევრთაგან შეარჩევს არანაკლებ სამ მთვლელს, ხოლო დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არა უმეტეს ორ მეთვალყურეს (თუ დამკვირვებლები ვერ შეთანხმდებიან, მათგან ორ მეთვალყურეს წილისყრით გამოავლენს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე).

მთვლელები თანმიმდევრულად ითვლიან:

ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიებისა და ამომრჩეველთა სიის დანართის მიხედვით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერ-

თო რაოდენობას. საუბნო საარჩევნო კომიისი მდივანი შედეგებს აცხადებს და დაუყოვნებლივ შეაქვს სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში, რის შემდეგაც ცალ-ცალკე შეფუთავს და დალუქავს ამომრჩეველთა ერთიან და სპეციალურ სიებს და ამომრჩეველთა სიის დანართს.

გამოუყენებელ და გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას, მათი რაოდენობას მდივანი აცხადებს და დაუყოვნებლივ შეაქვს სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში, რის შემდეგაც იკვრება ცალ-ცალკე პაკეტებად. თითოეულ პაკეტზე უნდა მიეთითოს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, საარჩევნო ბიულეტენების სახე, გამოუყენებელ და გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა. პაკეტები უნდა დაილუქოს და მათ ხელი უნდა მოანერონ მთვლელებმა და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ.

საარჩევნო ყუთის გახსნა

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამონმებს საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობას. *თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევა, საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა. წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ყუთი ილუქება და საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება და დალუქული საარჩევნო ყუთი დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.*

მთვლელებს განცალკევებით მდგარ მაგიდაზე გადააქვთ საარჩევნო ყუთები და ადგილს ისე იკავებენ, რომ მოპირდაპირე მხარეს, ორი მეტრის დაშორებით იმყოფებოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები. ამ მთვლელების გვერდით დგება დამკვირვებელთაგან გამოვლენილი ორი მეთვალყურე.

საუბნო საარჩევნო კომისია თავდაპირველად ხსნის გადასატან საარჩევნო ყუთს. მთვლელები გადასატან საარჩევნო ყუთში არსებულ სპეციალურ კონვერტებს ათავსებენ მაგიდაზე, ამონმებენ გადასატან საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლების არსებობას და მას უდარებენ საუბნო საარჩევნო კომისიაში შედარების მიზნით შენახულ საკონტროლო ფურცლებს. ამ საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავების არარსებობის შემთხვევაში მთვლელები ითვლიან იმ სპეციალურ კონვერტებს, რომლებშიც მოთავსებულია საარჩევნო ბიულეტენები.

სპეციალური კონვერტების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ამომრჩეველთა სიის დანართში (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში) ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობას, თუ იმ სპეციალური კონვერტების რაოდენობა, რომლებშიც მოთავსებულია საარჩევნო ბიულეტენები, ამომრჩეველთა სიის დანართის (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის) მიხედვით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდება, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიკვრება პაკეტად, დანერება “ბათილია” და საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავება გამოვლინდა ან გადასატანი საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ მთვლელები ხსნიან ძირითად საარჩევნო ყუთს.

მთვლელები ძირითად საარჩევნო ყუთში არსებულ სპეციალურ კონვერტებსა და საარჩევნო ბიულეტენს ათავსებენ განცალკევებით მდგომ მაგიდაზე, ამონმებენ ძირითად საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას და მას უდარებენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შენახულ საკონტროლო ფურცელს. თუ საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავება გამოვლინდა ან ძირითად საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიფუთება, დაილუქება, შედგება სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომიას. თუ ყველაფერი წესრიგში აღმოჩნდა, მთვლელები ერთმანეთში ურევენ ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთებიდან გადმოყრილ სპეციალურ კონვერტებს და იწყებენ საარჩევნო ბიულეტენების დათვლას.

ხმის დათვლა

საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენს ითვლის შემდეგი წესის დაცვით:

1. პირველი მთვლელი სპეციალური კონვერტიდან იღებს საარჩევნო ბიულეტენს, აცხადებს, ვისთვისაა მიცემული ხმა და ერთი სახის საარჩევნო ბიულეტენს გადასცემს მეორე მთვლელს, მეორე სახისას — მესამე მთვლელს და ა.შ. ხოლო სპეციალურ კონვერტს დებს ცალკე. მთვლელები საარჩევნო ბიულეტენებს აწყობენ ცალ-ცალკე, თითოეული საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემული ხმების შესაბამისად.
2. ცალკე ეწყობა დაუდგენელი ნიმუშის და მთვლელების მიერ ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენები, ცალკე — ის საარჩევნო ბიულეტენები, რომელთა ნამდვილობაც საეჭვოდ იქნა მიჩნეული.

დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად, თუ:

1. საარჩევნო ბიულეტენი დამონმებული არ არის ამომრჩეველთა რეგისტრატორის ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით;
2. შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა,
3. სპეციალური კონვერტში აღმოჩნდა დადგენილ რაოდენობაზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი;
4. სპეციალური კონვერტი არ არის დადგენილი ნიმუშისა;
5. საარჩევნო ბიულეტენი საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა სპეციალური კონვერტის გარეშე;
- 6 საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილი იყო სხვა საარჩევნო უბნისთვის.

აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ითვლება ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენები და მათ ეწერება “ბათილია”; ეს ბიულეტენები პაკეტად იკვრება, რომელსაც ხელს აწერენ მთვლელები და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მათ რაოდენობას საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი დაუყოვნებლივ აღნიშნავს სადემონსტრაციო ოქმს და ჩანაწერთა წიგნში; სხვა საარჩევნო უბნისთვის განკუთვნილი ბათილი საარჩევნო ბიულეტენები ცალკე პაკეტად იკვრება და მათ რაოდენობა აღნიშნება მხოლოდ ჩანაწერთა წიგნში.

საარჩევნო ბიულეტენების ყოველი პაკეტი უნდა შეიფუთოს და დაილუქოს შესაბამისი ზომის კონვერტში. შეკვრას უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის ნომერი, საარჩევნო ბიულეტენების სახე და რაოდენობა. თითოეული საარჩევნო სუბიექტის კუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების დასტა ცალკე უნდა შეიფუთოს და დაილუქოს. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში.

ყველა მონაცემის დადგენისთანავე საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი არსებული მონაცემების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ავსებს კენჭისყრის შედეგების თითოეული სახის შემაჯამებელ ოქმს.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება:

- ა) საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება, საარჩევნო უბნის ნომერი;
- ბ) გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი იმ საარჩევნო უბნის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც მიმაგრებულია ძირითად საარჩევნო უბანზე;

- გ) არჩევნების/რეფერენდუმის დასახელება;
- დ) კენჭისყრის თარიღი (თუ ეს არის განმეორებითი კენჭისყრა ან არჩევნების მეორე ტური, ესეც უნდა აღინიშნოს);
- ე) საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდისა და ამომრჩეველთა რეგისტრატორების ბეჭდების ნომრები;
- ვ) ერთიან სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა;
- ზ) სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა;
- თ) არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა სიებში 12 საათსა და 17 საათზე;
- ი) არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა (ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერების მიხედვით);
- კ) მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;
- ლ) გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;
- მ) გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;
- ნ) ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;
- ო) საარჩევნო სუბიექტების დასახელება, საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა;
- პ) ოქმის შედგენის თარიღი და დრო;
- ჟ) ოქმის ის მონაცემები, რომლებსაც არ ეთანხმება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი (ამ ჩანაწერს კომისიის წევრი აკეთებს გრაფაში “განსხვავებული აზრი” და ხელს აწერს მას);
- რ) ოქმის სარეგისტრაციო ნომერი, რეგისტრაციის თარიღი და დრო (აღინიშნება ოქმის გაცემისას).

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს არჩევნების დროს დგება 2 შემაჯამებელი ოქმი. ერთი — პროპორციული საარჩევნოს სისტემით ჩატარებული არჩევნების მიხედვით, მეორე - მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით. ქალაქ თბილისის მერის არჩევნებისას დგება 1 შემაჯამებელი ოქმი.

საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი ხელს აწერს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, რითაც დასტურდება მათი ყოფნა საარჩევნო უბანში. ოქმი დამონმდება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით. თუ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება საუბნო საარჩევნო კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს, ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი და ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი საარჩევნო ბიულეტენებისა და ამომრჩეველთა სიების დალუქულ პაკეტთან ერთად დაუყო-

ვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც აღნიშნულ ოქმს საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმთან ერთად გადასცემს ცესკოს. საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლი გამოაკრას საჯარო გაცნობისთვის.

საუბნო საარჩევნო კომისია ოქმის ასლს (საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით) მისი მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადასცემს დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს. ოქმის ასლი უნდა დამონმდეს საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის ხელმოწერებით ოქმის მიღებას წარმომადგენელი/დამკვირვებელი საუბნო საარჩევნო კომისიის ჩანაწერთა წიგნში ხელმოწერით ადასტურებს.

ამ კანონით დადგენილი წესით მოთხოვნის შემთხვევაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლის გაუცემლობა გამოიწვევს კომისიის უფლებამოსილი პირების პასუხისმგებლობას ამ კანონით დადგენილი წესით.

საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლი დაუყოვნებლივ, ოქმის შევსებისთანავე, თავის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით (მათ შორის, ფაქსის მეშვეობით, სადაც არის ამის შესაძლებლობა) გაუგზავნოს ცესკოს.

განცხადების/საჩივრის შედგენა

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს უფლება აქვს კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებული პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები შეიტანოს ჩანაწერთა წიგნში. ჩანაწერთა წიგნში ჩანაწერის შემტანი პირი ვალდებულია მიუთითოს თავისი გვარი, სახელი და მისამართი საქართველოს მოქალაქის რეგისტრაციის მონუმბის მიხედვით. არავის აქვს უფლება ხელი შეუშალოს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირს ჩანაწერთა წიგნში შეიტანოს პრეტენზია, შენიშვნა ან საჩივარი.

განცხადება — საჩივარი საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურის დროს ჩადენილი დარღვევის შესახებ შედგენილი უნდა იქნეს კანონის დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის 7 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე. ეს განცხადება უნდა გადაეცეს საუბნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს ან კომისიის მდივანს საარჩევნო ყუთის გახსნამდე.

განცხადება-საჩივარი ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს დაფიქსირებული დარღვევის შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით, შედგენილი უნდა იქნეს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე. აღნიშნული განცხადება-საჩივარი (საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალსა და ჩანაწერთა წიგნში გატარების შემდეგ) საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღის 20 საათიდან 48 საათის განმავლობაში.

განცხადებაში (საჩივარში) აღინიშნება (იხ. დანართი 4):

- განცხადების (საჩივრის) შედგენის თარიღი და დრო;
- განმცხადებლის (მომჩივნის) სახელი, გვარი და მისამართი;
- საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი;
- დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;
- მონუმის არსებობის შემთხვევაში მისი სახელი, გვარი და რეგისტრაციის ადგილი;
- დამრღვევის დადგენის შემთხვევაში მისი ის მონაცემები, რომელთა დადგენა შესაძლებელი გახდა;
- დამრღვევის ახსნა-განმარტება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სხვა დამატებითი ინფორმაცია

განცხადების/საჩივრის მიღება

საუბნო საარჩევნო კომისიაში შემოსულ განცხადება-საჩივარს რეგისტრაციაში ატარებს კომისიის მდივანი. კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში მიუთითებს განმცხადებლის ვინაობას; განმცხადებელს გადასცემს წერილობით ცნობას, რომელშიც მიუთითება განცხადების/საჩივრის მიღების თარიღი და ზუსტი დრო და ჟურნალში მისთვის მინიჭებული ნომერი. აღნიშნული ცნობა კომისიის მდივანმა ხელმოწერით უნდა დაადასტუროს. კომისიის მდივანმა მიღებული განცხადების/საჩივრის რეგისტრაციის მონაცემები (სარეგისტრაციო ჟურნალში მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი) და შინაარსი უნდა გადაიტანოს ჩანაწერთა წიგნშიც.

თუკი წარდგენილ განცხადება/საჩივარში არასრულყოფილად არის მითითებული:

- განცხადების (საჩივრის) შედგენის თარიღი და დრო;
- განმცხადებლის (მოპყრვის) სახელი, გვარი და მისამართი;
- საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი;
- მონმის (არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი და რეგისტრაციის ადგილი,

საუბნო საარჩევნო კომისიაში განცხადების/საჩივრის მიმღები თანამდებობის პირი (თავმჯდომარე, მოადგილე ან მდივანი) ვალდებულია განცხადების/საჩივრის წარმდგენს დაუდგინოს ხარვეზი და განუსაზღვროს გონივრული ვადა მის გამოსასწორებლად.

ხარვეზის დადგენის და მის გამოსასწორებლად კონკრეტული ვადის მიცემის შემთხვევაში, კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში აკეთებს ჩანაწერს, რომელსაც ხელს აწერენ განცხადების/საჩივრის წარმდგენი და მიმღები პირები.

განცხადების/საჩივრის განხილვა

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება განცხადებაზე/საჩივარზე და აღმოფხვრას არსებული დარღვევა.

წარდგენილი განცხადება/საჩივარი არ განიხილება, თუ:

- განცხადება-საჩივარში არ არის აღნიშნული დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;
- განცხადება-საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიას გადაეცა დაგვიანებით (კენჭისყრის პროცედურის შესახებ — საარჩევნო ყუთის გახსნამდე; ხმების დათვლის პროცედურების შესახებ — შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე);

- ❑ დადგენილ ვადაში არ გამოსწორდა წარდგენილი განცხადების/საჩივრის ხარვეზი.

თუ კომისიის თავმჯდომარემ არ ან ვერ აღმოფხვრა დარღვევა ან სხვაგვარი ფორმით უარი განაცხადა განცხადებაზე/საჩივარზე რეაგირებაზე, განმცხადებელს/მომჩივანს, ხოლო უფლებამოსილი ორგანიზაციის, პარტიის/საარჩევნო ბლოკის შემთხვევაში — ასევე მის წარმომადგენელს, უფლება აქვს ანალოგიური განცხადება/საჩივარი დაუყოვნებლივ წარუდგინოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

ხმის დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებზე შედგენილი განცხადება/საჩივარი შეიძლება გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას უშუალოდ განმცხადებლის მიერ.

დანართი 1

შესაძლო დარღვევათა სახეები

ხმის მიცემის პროცესის მსვლელობისა და შედეგების შეჯამებისას შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის დარღვევები:

1. ამომრჩეველთა იძულება, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში კონკრეტული პარტიის ან კანდიდატის სასარგებლოდ (ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, მატერიალური დაინტერესება).
2. საარჩევნო უბნების გვიან გაღება, ადრე ან გვიან დახურვა.
3. საარჩევნო უბნების დროებით განზრახ ჩაკეტვა, როდესაც არ არსებობს ამის საფუძველი.
4. საარჩევნო პროცედურის დადგენილი წესის შეცვლა კომისიის მიერ.
5. არჩევნების ადმინისტრირებაში იმ პირების მონაწილეობა, რომელთაც ამის უფლება არ აქვთ.
6. კენჭისყრის ფარულობის დარღვევა.
7. ამომრჩევლისთვის დახმარების აღმოჩენა იმ პირის მიერ, რომელსაც არ გააჩნია ამის უფლება, მაგალითად: საარჩევნო კომისიის წევრი, დამკვირვებელი ან საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი შეჰყვება ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში.
8. აგიტაციის წარმოება ან სააგიტაციო მასალების (პლაკატები, ბუკლეტები და ა.შ.) არსებობა საარჩევნო უბანში.
9. დამკვირვებლისათვის უბანში შეშვებაზე უარის თქმა, უბნიდან გაძევების მიზნით მათი ჩათრევა კამათში, ცრუ სატელეფონო ზარზე მათი ყურადღების გადატანა და სხვ.
10. ბიულეტენის გაცემა პირადობის დამადასტურებელი მონომობის (ან ალტერნატიული საბუთის) ან ხელმოწერის გარეშე.
11. ერთი ამომრჩევლისათვის ერთ კონვერტზე ან ბიულეტენების ერთ კომპლექტზე მეტის მიცემა.
12. სასურველი პარტიის (კანდიდატის) სასარგებლოდ დამატებითი (ზედმეტი) ბიულეტენების საარჩევნო ყუთში ჩაგდება.
13. ერთი და იმავე ამომრჩევლის მიერ (ერთ, ან სხვადასხვა უბანში) ხმის რამდენჯერმე მიცემა გარდაცვლილთა, ადგილნაცვალთა ან იმათი სახელით, ვინც არ მოვიდა საარჩევნო უბანში.
14. ხმების დათვლის პროცესის გაჭიანურება ან უსაფუძვლო შეწყვეტა.
15. საარჩევნო ყუთების განადგურება, მოპარვა, გატაცება ან შეცვლა.
16. ხმების დათვლის პროცედურაში იმ პირების მონაწილეობა, რომლებიც კომისიის წევრები არ არიან.

17. არასასურველი პარტიის (კანდიდატის) სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენის გაფუჭება.
18. შემთხვევით შერჩეული ბიულეტენების შეცვლა სასურველი პარტიის (კანდიდატის) სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენებით.
19. არასასურველი პარტიის (კანდიდატის) სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენების შეცვლა სასურველი პარტიის (კანდიდატის) სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენებით.
20. დათვლის დროს ყუთიდან გადმოყრილ კონვერტებში სასურველი კანდიდატის სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენებიანი კონვერტების შერევა.
21. ხმის მიცემის შედეგების შეცვლა, როდესაც ერთი პარტიის (კანდიდატის) მიერ მიღებული ხმები ოქმში შეაქვთ, როგორც მეორე პარტიის (კანდიდატის) მიერ მიღებული ხმები, ხოლო მეორეს მიერ მიღებულ ხმებს მიაწერენ პირველს.
22. კომისიის წევრების (ან სხვების) მიერ ამომრჩეველთა სარეგისტრაციო სიაში ყალბი ხელმოწერების (საარჩევნო უბანში გამოუცხადებელ ამომრჩეველთა ნაცვლად) გაკეთება არჩევნებში მონაწილეთა რიცხვის გაზრდის მიზნით.
23. გადასატანი საარჩევნო ყუთიდან გადმოყრილი კონვერტების დაუთვლელათ შერევა ძირითადი საარჩევნო ყუთიდან გადმოყრილ კონვერტებთან.
24. დამკვირვებლისათვის (ან სხვა უფლებამოსილი პირისთვის) ხელის შეშლა შეიტანოს ჩანაწერთა ნიგნში საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებული პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები.
25. წილისყრის პროცედურის დარღვევა (შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირის წილისყრის პროცედურაზე დასწრებისთვის ხელის შეშლა, წილისყრის პროცედურაზე შენობაში ყოფნის უფლების არ მქონე პირის დასწრება, წილისყრის ჩატარების წესების დარღვევა და სხვ.).
26. წილისყრის გარეშე ფუნქციების განაწილება.
27. წილისყრის შემდეგ ჩასატარებელი პროცედურის დარღვევა (ყუთების შეუმონმებლობა დალუქვისას, ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების პაკეტების შეუმონმებლობა და სხვ..).
28. მარკირების ან მისი შემონმების პროცედურის დარღვევა (ამომრჩევლის განზრახ არ შემონმება, ამომრჩევლისათვის მარკირების განზრახ არ ჩატარება და სხვ.).
29. ბიულეტენზე ხელის არ მოწერა ან სპეციალური ბეჭდით დაუმონმებლობა.
30. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო ყუთში კონვერტის ჩასაგდება ქრილის დაუღუქავობა.
31. კენჭისყრის ჩატარებისა და საარჩევნო დოკუმენტაციის გადაადგი-

ლებისთვის მოჩვენებითი საფრთხის შექმნა და ამის საბაზით პოლიციის თანამშრომელთა გამოძახება საარჩევნო უბანზე.

32. მთვლელების მიერ თვლის პროცედურის დარღვევა ან 2 (ზოგჯერ 1) მეთვალყურის არ გამოვლენა ან მათი არ დაშვება ხმის დათვლის პროცედურაზე.
33. კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობის შეგენბულად გაზრდა.
34. კომისიის წევრების ხელმოწერების დაფიქსირება შეუვსებელ შედეგების შემაჯამებელ ოქმზე.
35. მონაცემების შეტანა შედეგების შემაჯამებელი ოქმის ქსეროასლში, რომელიც სალდება როგორც ორიგინალი.

დანართი 2

ვის აქვს არჩევნებზე დაკვირვების უფლება?

არჩევნებზე დაკვირვების უფლება აქვთ კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 2 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ადგილობრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებს, რომელთა წესდება რეგისტრაციაში გატარების მომენტისთვის ითვალისწინებს არჩევნებზე მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას და რომლებიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებული არიან საქართველოს ცენტრალურ ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის წარმომადგენლის — ადგილობრივი დამკვირვებლის მეშვეობით. ერთ ორგანიზაციას უფლება აქვს საარჩევნო უბანზე ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს ერთი დამკვირვებლისა. ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, გარდა:

- ა) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა;
- ბ) საქართველოს პარლამენტის წევრისა;
- გ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრისა;
- დ) ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეებისა;
- ე) მოსამართლისა;
- ვ) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საგარეო დაზვერვისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურების თანამშრომლებისა;
- ზ) პროკურატურის თანამდებობის პირისა;
- თ) საარჩევნო სუბიექტისა და მისი წარმომადგენლისა;
- ი) საარჩევნო კომისიის წევრისა.

იმ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს ცესკო.

ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

რეგისტრაციაში გატარების მიზნით ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-10 დღისა და უნდა წარუდგინოს თავისი წესდების ნოტარიულად დამოწმებული ასლი. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ საარჩევნო ოლქის (ოლქების) დასახელება, რომელშიც ორგანიზაცია ახორციელებს დაკვირვებას. საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში წვეტს ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს.

ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-5 დღისა ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს ცესკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია. სიას უნდა დაერთოს ადგილობრივი დამკვირვებლების საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლები. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ იმავე ვადაში საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს უნდა წარუდგინოს საოლქო ან/და მის ქვემდებარე საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია. სიაში უნდა აღინიშნოს დამკვირვებლის ვინაობა (გვარი, სახელი, რეგისტრაციის ადგილი) და ის საარჩევნო ოლქი (ოლქები) და საარჩევნო უბანი (უბნები), სადაც იგი დააკვირდება არჩევნებს.

საარჩევნო კომისიის მდივანი სიის წარდგენიდან არა უგვიანეს მეორე დღისა რეგისტრაციაში ატარებს დამკვირვებლებს და გადასცემს დამკვირვებლის მოწმობას.

დამკვირვებლის მოწმობაში უნდა იყოს:

- დამკვირვებლის სახელი და გვარი;
- წარმდგენი ადგილობრივი ან საერთაშორისო ორგანიზაციის სახელწოდება;
- იმ საარჩევნო ოლქის (ოლქების) / უბნის (უბნების) ნომერი (ნომრები) და დასახელება (დასახელებები), სადაც უნდა განხორციელდეს დაკვირვება

დამკვირვებლის მოწმობა ძალაში შედის შესაბამისი მოწმობის გაცემის მომენტიდან და ძალას კარგავს არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 2 კვირის შემდეგ.

საარჩევნო კომისიების სხდომებზე დასწრებისა და კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობებში ყოფნის უფლება აქვთ აგრეთვე შესაბამის საარჩევ-

ვნი კომისიაში აკრედიტებულ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს.

რამდენიმე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციას ახორციელებენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი ან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნები, ხოლო მხოლოდ ერთი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე წარმომადგენლების აკრედიტაციას - შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი.

განცხადება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-3 დღისა.

განცხადების წარდგენიდან 1 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი წყვეტს აკრედიტაციის საკითხს და გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის ვადაში გადასცემს სათანადო მოწმობას.

კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს 3 წარმომადგენლისა.

დანართი 3

კომენტარები/განმარტებები ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და ხუთ არასამთავრობო ორგანიზაციას: ახალი თაობა — ახალი ინიციატივა, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო, საერთო სამოქალაქო მოძრაობა — მრავალეროვანი საქართველო გაფორმდა მემორანდუმი 2010 წლის არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ, რომელიც მოიცავს შემდეგ განმარტებებს:

1. საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის “თ” ქვეპუნქტი:

5. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ:

თ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს, როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს

საარჩევნო კოდექსის 76-ე მუხლის პირველი პუნქტის “გ” ქვეპუნქტი:

გ) წინასაარჩევნო აგიტაციის განევას სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას

კომენტარი/განმარტება - სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების დროდ ჩათვლება საჯარო მოხელის მხრიდან უშუალოდ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულება მათ შორის ანაზღაურებადი დრო.

2. საარჩევნო კოდექსის 76-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტი:

“სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების, რომლებიც ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დაკავებული შენობების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საარჩევნო სუბიექტებს არ აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა;”

კომენტარი/განმარტება — ამ მუხლში ჩამოთვლილი საშუალებების ერთი სუბიექტის მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევაში, თუ იგივე სახის შესაძლებლობა სხვა საარჩევნო სუბიექტებს არ მიეცა. ეს ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის დარღვევად იმ თანამდებობის პირის მიერ, ვინც უმოქმედობით ან დაუსაბუთებელი უარით არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას.

ამ ნორმაში მოცემულ — საარჩევნო სუბიექტის შესაბამის მიმართვას, როგორც წესი, დასაბუთებული წერილობითი პასუხი უნდა გაეცეს მიმართვიდან არაუმეტეს 24 საათისა, რა დროშიც პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება მიმართვაზე უარის თქმად. აღნიშნული წესიდან გამონაკლისი დაიშვება ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში.

ამასთან, აღნიშნული ნორმა მოიცავს:

ა) იმ პირების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში მყოფი შენობა-ნაგებობებს, რომლებიც მათ გადაცემული აქვთ ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული ფუნქციის შესასრულებლად.

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირების, აგრეთვე იმ კერძო სამართლის იურიდიული პირების ბალანსზე არსებულ ქონებას, რომლებშიც სახელმწიფოს წილი შეადგენს 50% ან მეტს.

3. საარჩევნო კოდექსის 76-ე მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტი:

“ბ) სახელმწიფო ხელისუფლების დანესებულებების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისთვის, რომელთა დაფინანსება ხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან¹, განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება, თუ სხვა საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა”;

კომენტარი/განმარტება — ამ მუხლში ჩამოთვლილი ჩამოთვლილი საშუალებების ერთი სუბიექტის მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევაში, თუ იგივე სახის შესაძლებლობა სხვა საარჩევნო სუბიექტებს არ მიეცა, ეს ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსის თანაბარი ხელმისაწვდომობის

1 საჯარო სამართლის ის იურიდიული პირები, აგრეთვე იმ კერძო სამართლის იურიდიული პირების ბალანსზე არსებული ქონება, რომლებშიც სახელმწიფო წილი შეადგენს 50%-ს მეტს.

პრინციპირს დარღვევად იმ თანამდებობის პირის მიერ, ვინც უმოქმედობით ან დაუსაბუთებელი უარით არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას.

ამ მუხლის დაცვის მიზნით საარჩევნო სუბიექტის შესაბამის მიმართვას, როგორც წესი, დასაბუთებული წერილობითი პასუხი უნდა გაეცეს მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში, რა დროშიც პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება მიმართვაზე უარის თქმად. აღნიშნული წესიდან გამონაკლისი დაიშვება ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში.

4. საარჩევნო კოდექსის 76-ე მუხლის პირველი პუნქტის “გ” ქვეპუნქტი:

“გ) სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გამოყენება, თუ სხვა საარჩევნო სუბიექტებს არ აქვთ მათი იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა”.

კომენტარი/განმარტება — ამ მუხლში ჩამოთვლილი საშუალებების ერთი სუბიექტის მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევაში, თუ იგივე სახის შესაძლებლობა სხვა საარჩევნო სუბიექტებს არ მიეცა, ეს ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის დარღვევად იმ თანამდებობის პირის მიერ, ვინც უმოქმედობით ან დაუსაბუთებელი უარით არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას.

ამ ნორმაში მოცემულ — საარჩევნო სუბიექტის შესაბამის მიმართვას, როგორც წესი, დასაბუთებული წერილობითი პასუხი უნდა გაეცეს მიმართვიდან არაუმეტეს 24 საათისა, რა დროშიც პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება მიმართვაზე უარის თქმად. აღნიშნული წესიდან გამონაკლისი დაიშვება ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში.

ამასთან, აღნიშნული ნორმა მოიცავს — საჯარო სამართლის იურიდიული პირების, აგრეთვე იმ კერძო სამართლის იურიდიული პირების ბალანსზე არსებულ ქონებას (სატრანსპორტო საშუალებები), რომლებშიც სახელმწიფოს წილი შეადგენს 50% ან მეტს.

5. საარჩევნო კოდექსის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად:

“2. საჯარო მოსამსახურეებს, რომლებიც სარგებლობენ სამსახურებრივი ავტომანქანებით, მათი გამოყენების უფლება აქვთ მხოლოდ სანვავის ანაზღაურების პირობით.”

კომენტარი/განმარტება — აღნიშნული ნორმა ეხება იმ საჯარო მოსამსახურეს, რომელიც პერსონალურად მხოლოდ მისთვის განკუთვნილი სამსახურებრივი ავტომატურად სარგებლობს და ამასთანავე იგი ვალდებულია სანვავის ასანაზღაურებელი ხარჯები ასახოს საარჩევნო კამპანიის ფონდში.

6. საარჩევნო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 პუნქტი:

“3. საარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია სახელმწიფო/ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ისეთი ბეჭდვითი მასალის დამზადება, რომელშიც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი, ან/და რომელიც შეიცავს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერ/საწინააღმდეგი მასალას.”

კომენტარი/განმარტება — ამ ნორმაში მოცემული საარჩევნო სუბიექტი ასევე მოიცავს მოქმედ თანამდებობის პირებს, რომლებიც დარეგისტრირებულები არიან საარჩევნო სუბიექტებად.

7. საარჩევნო კოდექსის 76¹ მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტი:

“ა) სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირების ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას”;

კომენტარი/განმარტება — საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) ან კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში უშუალოდ სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირების და ასევე სხვაგვარად დამოკიდებული პირების ჩაბმა, მათ შორის, სამსახურებრივად დაქვემდებარებულ პირებთან შეხვედრის დროს თანამდებობის პირის მიერ საარჩევნო სუბიექტის/სუბიექტობის კანდიდატის წარდგენა, ან რომელიმე კანდიდატის მხარდასაჭერი, ან მისი საწინააღმდეგო განცხადების გაკეთება.

წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისთვის ტერმინი “სხვაგვარად დამოკიდებული პირები” აღიქმება როგორც პირები, რომლებიც საქმიანო-

ბიდან გამომდინარე მატერიალურად ან რაიმე სხვა ფორმით დამოკიდებული არიან აღნიშნული თანამდებობის პირებზე.

8. საარჩევნო კოდექსის 76¹ მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტი:

“ბ) სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვება და წინასაარჩევნო აგიტაციის განევა”.

კომენტარი/განმარტება — საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში უკავია თანამდებობა, იკრძალება ხელმოწერების შეგროვება და აგიტაციის განევა, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინების დროს.

დანართი 4

ამონარიდი საქართველოს საარჩევნო კოდექსიდან

მუხლი 126 (18) წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება კანონის დარღვევით

ამ კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა მიერ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება — გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

მუხლი 126 (19) წინასაარჩევნო მონოდებებისა და მასალების გავრცელებისთვის ხელის შეშლა

ამ კანონით დადგენილი წესით წინასაარჩევნო მონოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო და სხვა მასალების გავრცელებისთვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილ სხვა საშუალებათა ჩამორთმევა ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისთვის ხელის შეშლა — გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

მუხლი 126 (20) საარჩევნო კამპანიის ჩატარება ამ საქმიანობისთვის აკრძალულ დანესებულებებში

საარჩევნო კამპანიის ჩატარება იმ დანესებულებათა შენობებში, რომლებიც აკრძალულია ამ კანონით და ასეთ ნებართვის გაცემა უფლებამოსილი პირის მიერ — გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

მუხლი 126 (21) არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნების წესების დარღვევა

კანონით დადგენილ ვადებში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება სავალდებულო ინფორმაციის გარეშე ან გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სხვა წესების დარღვევა — გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

მუხლი 126 (22) პოლიტიკური / წინასაარჩევნო რეკლამის კანონით დადგენილ ვალდებულების დარღვევით განთავსება

წინასაარჩევნო აგიტაციასთან, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებასა და ინფორმაციის გადაცემასთან (ან გამოქვეყნებასთან) დაკავშირებული ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევა- გამოიწვევს ელექტრონული მედიის საშუალების დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით, ხოლო ბეჭდვითი მედიის საშუალებისას — 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 126 (23) საარჩევნო კამპანიის ფონდში კანონით აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემონიშნულობის მიღება ან/და შემონიშნულობის თაობაზე ინფორმაციის დამალვა

1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მიერ საარჩევნო კამპანიის ფონდში საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემონიშნულობის მიღება — გამოიწვევს აკრძალული ფინანსური შემონიშნულების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვას ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მატერიალური შემონიშნულების კონფისკაციას.

2. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მიერ საარჩევნო კამპანიის ფონდში კანონით აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემონიშნულების თაობაზე ინფორმაციის დამალვა — გამოიწვევს აკრძალული ფინანსური შემონიშნულების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვას ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მატერიალური შემონიშნულების კონფისკაციას და დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი მოქალაქეთა იმ პოლიტიკური გაერთიანების მიერ, რომელიც იღებს სახელმწიფო დაფინანსებას — გამოიწვევს შესაბამისად აკრძალული ფინანსური შემონიშნულების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვას ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მატერიალური შემონიშნულების კონფისკაციას და დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.

მუხლი 126 (24) საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის წარდგენის კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა

1. საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის წარდგენის კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა — გამოიწვევს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი მოქალაქეთა იმ პოლიტიკური გაერთიანების მიერ, რომელიც იღებს სახელმწიფო დაფინანსებას, - გამოიწვევს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.

მუხლი 126 (25) საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო კომისიებისთვის მასალების წარდგენაზე უარის თქმა ან მათი გადაწყვეტილების შეუსრულებლობა

საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო კომისიებისთვის საჭირო მასალების და მონაცემების წარდგენაზე უარის თქმა ან მათი გადაწყვეტილების შეუსრულებლობა — გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

მუხლი 126 (26) კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შეტანილი მონაცემების გადასწორება

კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შეტანილი მონაცემების გადასწორება — გამოიწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან/და მდივნის დაჯარიმებას — თითოეულისა 2000 ლარის ოდენობით.

მუხლი 126 (27) წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა

წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა — გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

მუხლი 126 (28) არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის შემაჯამებელი ოქმის ასლის გაუცემლობა

არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის შემაჯამებელი ოქმის ასლის გაცემის ამ კანონით დადგენილი წესების დარღვევა — გამოიწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან/და მდივნის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

მუხლი 126 (29) კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირისათვის ჩანაწერთა წიგნში ჩანაწერის შეტანაში ხელის შეშლა

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირისათვის ჩანაწერთა წიგნში ჩანაწერის შეტანაში ხელის შეშლა — გამოიწვევს შესაბამისი პირების დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 126 (30) დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების უფლებების შეზღუდვა

ადგილობრივი/საერთაშორისო დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების ამ კანონით დადგენილი უფლებების შეზღუდვა ან მათი საქმიანობისთვის ხელის შეშლა — გამოიწვევს შესაბამისი პირების დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 126 (31) დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობებისა და მოთხოვნების დარღვევა

დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების მიერ ამ კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ — „დ“ ქვეპუნქტებით დაკისრებული მოთხოვნების დარღვევა — გამოიწვევს შესაბამისი პირების დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

ამ კანონის 126¹⁸ - 126³¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკო, აგრეთვე ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).

დანართი 5

განცხადების / საჩივრის ნიმუში

ჩაწერეთ უბნის ნომერი და მისამართი _____

№ _____ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს _____
(კომისიის თავმჯდომარის სახელი, გვარი)

№ _____ საარჩევნო უბნის დამკვირვებლის _____
(სახელი, გვარი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა (საჩივარი) საარჩევნო კოდექსის დარღვევის შესახებ

დარღვევის დეტალები და გარემოებები (დანვრილებით აღწერეთ დარღვევის ხა-
სიათი. მიუთითეთ დარღვევის დრო, დამრღვევის (დამრღვევთა) ვინაობა და რე-
გისტრაციის ადგილი, საარჩევნო კოდექსის რომელი მუხლის მოთხოვნა იქნა და-
რღვეული, დამრღვევის ახსნა-განმარტება ასეთის არსებობის შემთხვევაში _____

(აუცილებლობის შემთხვევაში წერა გააგრძელეთ უკანა გვერდზე)

გთხოვთ, განიხილოთ განცხადება და შედეგები მაცნობოთ კანონით დადგენილი
წესით.

ჩემი მისამართია _____ ტელ. _____

თარიღი _____ 2008 წ. _____ დრო: — სთ. — წთ.

ხელმოწერა _____

მონმე _____
(სახელი, გვარი)

მონმის მისამართი _____ ტელ. _____

მონმის ხელმოწერა _____

მონმე _____
(სახელი, გვარი)

მონმის მისამართი _____ ტელ. _____

მონმის ხელმოწერა _____

დამკვირვებლის საყურადღებოდ!

ეს განცხადება შეავსეთ ორ ეგზემპლარად.

ერთი გადაცემით საარჩევნო კომისიას, ხოლო მეორე დაიტოვეთ თქვენ. განცხადება/საჩივარი კენჭისყრის პროცედურის დროს ჩადენილი დარღვევის შესახებ საარჩევნო ყუთის გახსნამდე უნდა გადაეცეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს ან მდივანს, რომელიც რეგისტრაციაში გაატარებს მას ჩანაწერთა წიგნში და განმცხადებელს გადასცემს ცნობას (მისი ხელმოწერით) რომელშიც აღინიშნება საჩივრის მიღების თარიღი და დრო.

განცხადება/საჩივარი კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურის დროს ჩადენილი დარღვევის შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით კომისიის მდივნის მიერ რეგისტრირდება ჩანაწერთა წიგნში და კომისიის მიერ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის მომდევნო დღის 18 საათზე, ხოლო თუ შედეგების შეჯამება ამ დროისთვის დასრულებული არ იქნება, – შემაჯამებელი ოქმის შედგენის მომდევნო დღის 18 საათზე. განცხადება/საჩივარი ამავე ვადაში შეიძლება გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას უშუალოდ განმცხადებლის მიერ.

დანართი 6

ამომრჩეველთა სპეციალური სია

ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეჰყავთ

ა) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, რომლებიც საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში თავიანთი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით (ისინი სიაში შეჰყავთ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ საარჩევნო უბანში);

ბ) ამომრჩეველები, რომლებიც სამკურნალოდ წვანან საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, კენჭისყრის დღისთვის ვერ იქნებიან განერილი ამ დაწესებულებიდან;

გ) ამომრჩეველები, რომლებიც კენჭისყრის დღეს წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან;

დ) საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო (გასამხედროებული) ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები;

დანართი 7

ამომრჩეველთა სიის დანართი

ამომრჩეველთა სიის დანართი დგება ერთიანი და სპეციალური სიების საფუძველზე, თუ:

- ა) ამომრჩეველს შეზღუდული შესაძლებლობის ანდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა;
- ბ) ამომრჩეველი იმყოფება წინასწარ პატიმრობაში;
- გ) ამომრჩეველი სამკურნალოდ წევს საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და მასში არ იხსნება საარჩევნო უბანი;
- დ) ამომრჩეველი სამხედრო მოსამსახურეა, მსახურობს სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში, რომელიც საარჩევნო უბნიდან შორსაა განლაგებული, და მასში არ იხსნება საარჩევნო უბანი;
- ე) იმყოფება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ ძნელად მისადგომ ადგილას.

დანართში ამომრჩევლის შეყვანის შემთხვევაში ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალურ სიებში აღინიშნება დანართში მისი შეყვანის მიზეზი და დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით.

დანართი 8

კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი

საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცესი და კენჭისყრის მიმდინარეობის თაობაზე პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები აისახება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.

ჩანაწერთა წიგნი გადაეცემა კომისიის მდივანს, რომელიც ვალდებულია კომისიის თავმჯდომარესთან ერთად ჩანაწერთა წიგნში აღრიცხოს კენჭისყრის დღის ყველა საარჩევნო პროცედურა და მიუთითოს მათი განხორციელების დრო.

ჩანაწერთა წიგნის ყველა გვერდი დანომრილი უნდა იყოს და თითოეულ გვერდზე უნდა აღინიშნოს საარჩევნო ოლქისა და საარჩევნო უბნის ნომრები.

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი უფლებამოსილია კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებული

პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები ასახოს ჩანაწერთა წიგნში (ამისათვის გამოიყენება ჩანაწერთა წიგნის მე-10 და მომდევნო გვერდები), მიუთითოს მონშეები (მათი არსებობის შემთხვევაში). ჩანაწერის შემტანი პირი ვალდებულია ჩანაწერთა წიგნში მიუთითოს თავისი გვარი, სახელი და მისამართი რეგისტრაციის მომშობის მიხედვით. არავის არ აქვს უფლება, ხელი შეუშალოს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე რომელიმე პირს, ჩანაწერი შეიტანოს ჩანაწერთა წიგნში.

დანართი 9 საარჩევნო ბიულეტენი

საარჩევნო ბიულეტენის წინა გვერდზე აღნიშნული უნდა იყოს:

ა) არჩევნების/რეფერენდუმის დასახელება და არჩევნების/რეფერენდუმის ჩატარების თარიღი;

ბ) საარჩევნო ოლქის დასახელება და ნომერი;

გ) საარჩევნო უბნის ნომერი (ბიულეტენის ყუასა და საკუთრივ საარჩევნო ბიულეტენზე);

დ) პროპორციული სისტემით არჩევნებისას - არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის რიგითი ნომერი და სახელწოდება; საქართველოს პრეზიდენტის, ქალაქ თბილისის მერისა და მაჟორიტარული სისტემით არჩევნებისას - კანდიდატის რიგითი ნომერი, გვარი, სახელი, წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება;

ე) საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი.

საარჩევნო ბიულეტენის უკანა გვერდზე აღნიშნული უნდა იყოს:

ა) ამომრჩეველთა რეგისტრატორის ხელმოწერის ადგილი;

ბ) ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ სპეციალური ბეჭდით დამონშების ადგილი.

საარჩევნო სუბიექტის არჩევნებიდან მოხსნის შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ბიულეტენში საარჩევნო სუბიექტის სახელის/სახელწოდების გასწვრივ დაისმება შტამპი “არჩევნებიდან მოხსნილი”.

საარჩევნო ბიულეტენი სახელმწიფო საკუთრებაა. კენჭისყრის დღეს აკრძალულია კენჭისყრის შენობიდან მისი გატანა, წაღება ან განადგურება.

დანართი 10

2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სისტემა

არჩევნებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა მოიცავს: საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საარჩევნო კოდექსს, კანონს საქართველოს დედაქალაქის — თბილისის შესახებ, კანონს რეფერენდუმის შესახებ, ორგანულ კანონს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ორგანულ კანონს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, კანონს საჯარო სამსახურის შესახებ, კანონს მაუწყებლობის შესახებ, სხვ.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” ორგანული კანონით.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო — საკრებულოს და ქალაქ თბილისის მერის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს ადგენს საქართველოს ორგანული კანონი “საქართველოს საარჩევნო კოდექსი”, რომელიც განსაზღვრავს საკრებულოს და თბილისის მერის არჩევის წესსა და საარჩევნო სისტემას.

მოქმედი საარჩევნო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდება 2010 წლის 30 მაისს. 2006 წელს არჩეულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლებამოსილება შეუწყდებათ ახალარჩეული საკრებულოების პირველი შეკრებისთანავე. ამასთან 2010 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არ ტარდება ერედვის, თიღვის, ქუთისის, აჟარისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში, სადაც შესაბამის ადგილობრივ ორგანოებს უნარჩუნდებათ უფლებამოსილება.

თვითმმართველობის არჩევნებში კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ მხოლოდ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას და საარჩევნო ბლოკს.

2010 წლის 30 მაისს პირველად ტარდება თბილისის მერის პირდაპირი არჩევნები.

თბილისის მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც მუდმივად უცხოვრია საქართველოში 5 წელი მაინც და ფლობს ქართულ ენას.

თბილისის მერის არჩევნებში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მიიღო სხვებზე მეტი ხმა, მაგრამ არანაკლებ არჩევნებში მონაწილეთა 30%-სა. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ინიშნება არჩევნების მეორე ტური, სადაც მონაწილეობას იღებს 2 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი და გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი. და რომელსაც უცხოვრია საქართველოში 5 წელი მაინც.

თბილისის საკრებულოს არჩევნები ტარდება მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების საფუძველზე. თბილისის საკრებულო შედგება 50 წევრისგან, რომელთაგან 25 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 25 წევრი — პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე.

თბილისის გარდა თვითმმართველობის არჩევნები ტარდება 59 მუნიციპალიტეტში და ოთხ თვითმმართველ ქალაქში.

მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოებში ირჩევა პროპორციული სისტემის საფუძველზე - 10 წევრი და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, შესაბამის ტერიტორიაზე არსებული ყველა თემიდან და ქალაქიდან, რომელიც შედის ამ რაიონის შემადგენლობაში - თითო წევრი;

თვითმმართველი ქალაქებში ბათუმი, ქუთაისი და რუსთავი, ირჩევა მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე 10 წევრი და პროპორციული სისტემით 15 წევრი(სულ 25), ხოლო ქალაქ ფოთში მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული 5 წევრი და პროპორციული სისტემით 10 წევრი (სულ 15).

დანართი 11

= დაკვირვების ოქმი =

(ნიმუში)

საარჩევნო უბანი _____ მისამართი _____

1. დამკვირვებლის სახელი, გვარი: _____
2. მისამართი, ტელეფონის ნომერი _____
1. საარჩევნო უბანზე ყოფნის პერიოდი _____ სთ-დან _____
_____ სთ-მდე

! კენჭისყრის დაწყებამდე შეამოწმეთ:

1. საარჩევნო უბნის გახსნის დრო _____

2. შეუფერხებლად დაგიშვეს თუ არა უბანში? თუ არა, რა არის ამის მიზეზი?

3. რამდენი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ესწრებოდა საარჩევნო უბნის გახსნას?

4. თქვენს გარდა რომელი არასამთავრობო ორგანიზაციის დამკვირვებლები იმყოფებოდნენ საარჩევნო უბანში?

დამკვირვებლებს გამოეყოთ თუ არა ისეთი ადგილი, რომელიც უზრუნველყოფს დაკვირვების ყველა ასპექტის განხორციელებას?

! დააკვირდით

1. არის თუ არა საარჩევნო უბანში გამოკრული:

1. ამომრჩეველთა სიები	
2. საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი?	
3. არჩევნებში მონაწილე კანდიდატების სიები	
4. განცხადება კანდიდატურის მოხსნის შესახებ	
5. ხმის მიცემის ინსტრუქცია	
6. საარჩევნო ბიულეტენების ნიმუში	
7. სადემონსტრაციო ოქმი	

2. არის თუ არა წესისამებრ მომზადებული ფარული კენჭისყრის კაბინეტი _____

3. ფარული კენჭისყრის რამდენი კაბინაა უბანში? _____

1. არის თუ არა გადასატანი საარჩევნო ყუთი? _____

2. რამდენი სარეგისტრაციო მაგიდაა? _____

3. ხომ არ არის უბანში ან კაბინაში ამა თუ იმ კანდიდატის სააგიტაციო მასალა? თუ არის რომელი კანდიდატის? _____

4. განხორციელდა თუ არა კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები:

თავმჯდომარემ შეამოწმა თუ არა დალუქული საარჩევნო უბნის ბეჭდის პაკეტის მთლიანობა?	
თავმჯდომარემ წილისყრით გამოავლინა თუ არა კომისიის წევრების ფუნქციები?	
გამოაცხადა თუ არა თავმჯდომარემ ამომრჩეველთა რაოდენობა ძირითად, სპეციალურ და გადასატანი ყუთის სიებში?	
გამოაცხადა თუ არა თავმჯდომარემ მიღებული ბიულეტენების და კონვერტების რაოდენობა?	

მოაწერა თუ არა კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირმა ხელი ჩანაწერთა წიგნში?	
შეიტანა თუ არა მდივანმა მონაცემები ჩანაწერთა წიგნში, სადემონსტრაციო ოქმსა და შემაჯამებელ ოქმში?	
შეამონმა და დალუქა თუ არა თავმჯდომარემ ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები?	

8. რამდენი ბიულეტენია მიღებული? _____

9. რამდენი კონვერტია მიღებული? _____

! კენჭისყრის დროს შეამონეთ:

1. რომელ საათზე დაიწყო კენჭისყრა? _____

2. პირველი ამომრჩევლის მოსვლის დრო _____

3. მოაწერინეს თუ არა ხელი პირველ ამომრჩეველს სამ საკონტროლო ფურცელზე და მოათავსეს თუ არა 2 მათგანი გადასატან და ძირითად ყუთში და ერთი შეინახა თუ არა კომისიის მდივანმა? _____

4. ხომ არ იმყოფებიან საარჩევნო უბანზე პირები, რომელთაც კანონით ამის უფლება არ აქვთ (ადგილობრივი ხელისუფლების და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, და სხვ.)? _____

5. ხდება თუ არა ამომრჩეველთა მარკირების შემოწმება? თუ არ ხდება რამდენი შემთხვევა დაფიქსირდა? _____

6. გაიცემა თუ არა საარჩევნო ბიულეტენები პირადობის მონმობების გარეშე? (მიუთითეთ ამგვარ შემთხვევათა რაოდენობა) _____

7. ხომ არ ხდება ამომრჩეველზე ზემოქმედება ან აგიტაცია? თუ ხდება, რამდენჯერ, ვის მიერ და რა ფორმით:

გასცემენ წინასწარშეესებულ ბიულეტენებს _____

ამომრჩეველს უვსებენ ბიულეტენს—

უთითებენ ბიულეტენში შესაბამის ნომერს—

ენგვიან სიტყვიერ აგიტაციას ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ—

სხვა —

8. ამონმებს თუ არა რეგისტრატორი კომისიის წევრი საარჩევნო ბიულეტენს ხელმოწერით და ამონმებს თუ არა ბეჭდით?—

9. აწერდნენ თუ არა ამომრჩევლები ამომრჩეველთა სიაში ხელს საარჩევნო ბიულეტენის მიღებისას?—

10. ხომ არ ცდილობს ვინმე დაინახოს თუ ვის აძლევს ამომრჩეველი ხმას?—

11. ხომ არ მიდის საარჩევნო ყუთთან ერთზე მეტი ამომრჩეველი?—

12. ხომ არ იყო მცდელობა, რომ საარჩევნო ყუთში ჩაეგდოთ ერთზე მეტი კონვერტი? თუ იყო, რამდენჯერ?—

13. ხომ არ არის უბანში ან მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციელი თავჯდომარის მონვევის გარეშე?—

14. მიუკერძოებლად მოქმედებენ თუ არა საარჩევნო კომისიის წევრები? (თუ არა მიუთითეთ ვინ) —

15. შეადგინა თუ არა კომისიამ გადასატანი საარჩევნო ყუთის სია და გაკეთდა თუ არა შესაბამისი აღნიშვნები ძირითად საარჩევნო სიაში?—

16. გავიდა თუ არა გადასატანი საარჩევნო ყუთი 9 საათზე და გაცვენენ თუ არა მას კომისიის 2 წევრი და დამკვირვებლები?—

17. დააბრუნეს თუ არა გადასაცანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანზე 20.00 საათამდე და იყო თუ არა ის სათანადოდ დალუქული? _____

18. რამდენმა ამომრჩეველმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა:

12 საათისთვის? _____

17 საათისთვის? _____

19. დასრულდა თუ არა კენჭისყრა 20 სთ-ზე და მიეცა თუ ამ დროისათვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება? _____

20. დღის განმავლობაში შეიცვალა თუ არა კომისიის წევრების ფუნქციები? _____

! ხმის დათვლამდე ყურადღება მიაქციეთ:

1. ჩატარდა თუ არა წილისყრა მთვლელთა გამოსავლენად? _____

2. რამდენი მთვლელი გამოვლინდა? _____

3. მთვლელებმა თანამიმდევრობით დაითვალეს და სათანადოდ დალუქეს თუ არა:

მონაცემები შეიტანეთ ოქმში.

1. ამომრჩეველთა ერთიანი, სპეციალური სიის და ამომრჩეველთა სიის დანართის მიხედვით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა?	
2. გამოუყენებელი ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები?	
3. გაფუჭებული ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები?	

4. კომისიის მდივანმა ეს მონაცემები შეიტანა თუ არა შედეგების ოქმში, სადემონსტრაციო ოქმში და ჩანაწერთა წიგნში? _____

! ხმის დათვლის პროცესში ყურადღება მიაქციეთ:

1. ხომ არ მონაწილეობდნენ ხმის დათვლის პროცესში პირები, რომლებიც კომისიის წევრები არ არიან? კერძოდ ვინ? _____
2. გახსნის წინ გაისინჯა თუ არა საარჩევნო ყუთების ლუქი? _____
3. ყუთებში აღმოჩნდა თუ არა საკონტროლო ფურცლები? _____
4. დაითვალეს თუ არა მთვლელებმა გადასატან საარჩევნო ყუთებში აღმოჩენილი კონვერტები? _____
5. გამჭვირვალედ ჩატარდა თუ არა ხმის დათვლის პროცედურა? _____
6. ხმამაღლა აცხადებს თუ არა კომისია კანდიდატების მიერ მიღებულ ხმებს? _____
7. კენჭისყრით გადანყდა თუ არა საექვო ბიულეტენების ნამდვილობა-ბათილობის საკითხი? _____
8. შედეგების შეჯამების დამთავრების დრო _____
9. ყველას გადაეცა თუ არა ოქმების ასლები? ვის არ გადაეცა? რა მიზეზით? _____
10. ავსებდა თუ არა კომისია სადემონსტრაციო ოქმებს მთელი დღის განმავლობაში? _____
11. ავსებდა თუ არა მდივანი სადემონსტრაციო ოქმს, ჩანაწერთა წიგნს და შემაჯამებელ ოქმს მთელი დღის განმავლობაში? _____
12. ჰქონდა თუ არა საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლების ყველა პირს ჩანაწერთა წიგნში შეეტანათ შენიშვნები და საჩივრები? _____
13. საარჩევნო უბნის დახურვის დრო _____
14. ხმის დათვლის პერიოდში შეიცვალა თუ არა მთვლელები? თუ შეიცვალა რატომ? _____

! საჩივრები

1. დღის განმავლობაში იწერებოდა თუ არა საჩივრები და რეგისტრაციას უკეთებდნენ თუ არა მათ ჩანაწერთა წიგნში? რამდენი საჩივარი დაიწერა? _____

2. რამდენი საჩივარი არ მიიღო თავმჯდომარემ და რატომ? _____

3. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეაგირებს თუ არა საჩივრებზე? _____
4. საარჩევნო უბნიდან ხომ არ გაუძევებიათ ვინმე და რატომ? _____

დამკვირვებლების ხელმოწერა:

არასამთავრობო ორგანიზაცია “სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი”(ICCC) ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს “საარჩევნო საკითხებში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება”. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას, საარჩევნო კულტურის ამაღლებას და არჩევნებზე მოქალაქეთა გააქტიურებას.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ინტერნეტ-გზამკვლევი/ფორუმი **www.ivote.ge**, რომლის საშუალებითაც ამომრჩეველს საშუალება ექნება მიიღოს ინფორმაცია არჩევნების და თვითმმართველობის სისტემის შესახებ, აგრეთვე დაუსვას შეკითხვები პოლიტიკურ პარტიებს და მიიღოს მათგან პასუხები.

ამასთანავე ამ პორტალზე განთავსებულია ფორუმი, სადაც შესაძლებელია ამომრჩევლებმა ერთმანეთს გაუზიარონ არჩევნების მიმდინარეობის შესახებ მოსაზრებები.

მოგინოდებთ აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ინტერნეტ პორტალის საქმიანობაში, დაუსვათ შეკითხვები პოლიტიკურ პარტიებს და მოგვანოდოთ თქვენს ხელთ არსებული ინფორმაცია არჩევნების შესახებ.

წინასწარ გიხდით მადლობას

ს ა რ ჩ ე ვ ი

საარჩევნო პროცესის დაკვირვების მიზნები.....	5
საარჩევნო დღის პროცედურები	11
განცხადების/საჩივრის შედგენა	24
დანართი 1 შესაძლო დარღვევათა სახეები	27
დანართი 2 ვის აქვს არჩევნებზე დაკვირვების უფლება?	30
დანართი 3 კომენტარები/განმარტებები	33
დანართი 4 ამონარიდი საქართველოს საარჩევნო კოდექსიდან.....	38
დანართი 5 განცხადების / საჩივრის ნიმუში	42
დანართი 6 ამომრჩეველთა სპეციალური სია	43
დანართი 7 ამომრჩეველთა სიის დანართი	44
დანართი 8 კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი.....	44
დანართი 10 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სისტემა....	46
დანართი 11 დაკვირვების ოქმი	48

შეიქმნა ინტერნეტ-გზამკვლევი/ ფორუმი www.ivote.ge, რომლის საშუალებითაც ამომრჩეველს საშუალება ექნება მიიღოს ინფორმაცია არჩევნების და თვითმმართველობის სისტემის შესახებ, აგრეთვე დაუსვას შეკითხვები პოლიტიკურ პარტიებს და მიიღოს მათგან პასუხები.

ამასთანავე ამ პორტალზე განთავსებულია ფორუმი, სადაც შესაძლებელია ამომრჩევლებმა ერთმანეთს გაუზიარონ არჩევნების მიმდინარეობის შესახებ მოსაზრებები.

მოგინოდებთ აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ინტერნეტ პორტალის საქმიანობაში, დაუსვათ შეკითხვები პოლიტიკურ პარტიებს და მოგვანოდოთ თქვენს ხელთ არსებული ინფორმაცია არჩევნების შესახებ.

www.ivote.ge